საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 30 ოქტომბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №327

ავთანდილ სურგულაძის და ლაშა თავაძის მივლინების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე, და 39-ე მუხლების და „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მივლინებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე და საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ლაშა თავაძე ქალაქ ქობულეთში, ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის მიერ გამართულ ტრენინგზე მონაწილეობის მისაღებად, მიმდინარე წლის 31 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით.

2. მივლინებაში ყოფნის პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ა. მექვაბიშვილს).

3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ავთანდილ სურგულაძეს და საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროს ლაშა თავაძეს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ავთანდილ სურგულაძე**

Created by free version of DocuFreezer